

# ცნობილი გერმანისტის 80 წლის იუბილეზე

## გოეთეს ინსტიტუტმა ნოდარ ახაბაძის დაბადების დღეს უმასპინძლა


ახმა ლაშოვაძე

ცნობილ გერმანისტს, ლიტერატურათმცოდნესა და კრიტიკოსს, პროფესორ ნოდარ კაკაბაძეს გუშინ 80 წელი შეუსრულდა. იუბილარის საღამოს გოეთეს ინსტიტუტმა უმასპინძლა, საღამოს პროგრამა ფრიად გადატვირთული გახლდათ. გამომსვლელთა გრძელი და მრავალსიტყვიანი მოხსენებების მოსმენამდე იუბილარმა სიმებიან კვარტეტს მოუსმინა, რომელმაც დარბაზში იოზეფ ჰაიდნის „მენუეტი“ და ლუიჯი ბოკერინის „რონდო“ შეასრულა.

მუსიკალური ნომრის შემდეგ საღამო პროფესორმა ნელი ამაშუკელმა გახსნა ნოდარ კაკაბაძეზე ლირიული მოგონებების სერиейით.

ყველაზე დიდი ინტერესი კი მაინც თამარ ცაგარეიშვილის დოკუმენტური ფილმის – „ნოდარ კაკაბაძე“ – ჩვენებამ გამოიწვია. იუბილარი დიდი გულსყურით ადევნებდა თვალს ეკრანზე ნაჩვენებ საკუთარ გამოსახულებას. 80 წლის პროფესორი დარბაზში ძირითადად დუმდა. თუმცა ლაპარაკობდა ეკრანზე ლალად, იუმორით. ნამყვანისა და რესპოდენტის მიერ მოთხრობილი ბიოგრაფია კი საოცრად საინტერესო ჩანდა. ნოდარ კაკაბაძე, ცნობილი გერმანისტი უფრო ახლობელი გახდა დარბაზისთვის, კოლეგებისთვის. შემოქმედებითი გზა, რომელიც ნოდარ კაკაბაძემ გაიარა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა სტუმრებისთვის.

ნოდარ კაკაბაძეს იცნობენ, როგორც თომას მანის შესანიშნავ მკვლევარს. მას 300-ზე მეტი პუბლიკაცია აქვს თომას მანის შემოქმედებისთვის მიძღვნილი. ნოდარ კაკაბაძემ შეძლო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოეხსნა



ნოდარ კაკაბაძე

ნოდარ კაკაბაძე

და საზოგადოებისთვის ნათელი გაეხადა თომას მანის „იუმორითა და აბივალენტური ირონიით გაულენთილი „თავსატყევი“ აზრები“. მანის შესანიშნავი ცოდნისთვის არა ერთი კოლეგისგან მიუღია ნოდარ კაკაბაძეს კომპლიმენტი, მათ შორისაა მანის ქალიშვილი ერიკა მანიც.

„... მე ძალიან მიხარია, როცა თქვენის სახით თომას მანის შემოქმედებისა და ცხოვრების ასეთი ზედმიწევნით მცოდნე გავიცანი“, – წერდა ერიკა მანი კაკაბაძისათვის გამოგზავნილ წერილში.

ნოდარ კაკაბაძეს უნდა უმაღლოდეს საზოგადოება ფრანც კავკას საქართველოში

„გამოჩენასაც“, კავკას პირველი ქართული თარგმანები ძმებ ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეებს ეკუთვნით. სხვათა შორის, როგორც ბატონი ნოდარი აღნიშნავს, კავკას ასეთი სიყვარულის გამო მათ „კავკაბაძეებსა და კავკაბაძეებს“ უწოდებდნენ.

ცნობილი გერმანისტი არ შემოფარგლულა მანისა და კავკას შემოქმედების რეკლამირებითა და კვლევით საქართველოში. მას ეკუთვნის გამოკვლევები ისეთ ცნობილ მწერლებზე, როგორებიც არიან — გერჰარტ ჰაუპტმანი, მარქს ფრიში, შტეფან ცვაიგი, ბერტოლტ ბრეჰტი, ერვინ შტრიტმატერი, ჰაინრიჰ ბიოლი, გოეთე და ა. შ.

ნოდარ კაკაბაძე დიდ პატივს სცემდა ქართველ მწერლებსა და პოეტებსაც. მას შექმნილი აქვს შრომები: ნიკო ლორთქიფანიძეზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, ერეკლე ტატიშვილზე, გრიგოლ კიკნაძეზე, მიხეილ კვეციელაშვილზე და ა. შ.

გერმანისტი ასევე შესანიშნავად იცნობს დრამატურგიას, ყოველ შემთხვევაში ნოდარ კაკაბაძის კალამს ეკუთვნის პირველი რეცენზია რობერტ სტურუას მიერ დადგმულ ბრეტის „კავკასიურ ცარცის წრეზე“.

ნოდარ კაკაბაძე ცნობილი გერმანისტების: ლევ კოპელევის, სალომონ აპტის, ვლადიმერ ადმონის, ლევ გინზბურგის, ვიჩენსლავ კუპრიანოვის გვერდით მოიხსენიება. შესაბამისად ცნობილი პროფესორის იუბილე არ გამოჰპარავია გერმანული ენის არც ერთ მკვლევარსა და მეხოტბეს. ისინი მას დიდხანს სიცოცხლეცა და შემოქმედებითი შრომისთვის საჭირო შემართებას უსურვებდნენ. თავად იუბილარმა კი საზოგადოებას მომავალი სიურპრიზის შესახებ უსწავლია, მინდა შევექნა კიდევ ერთი „საქმის“ უწოდებით: „გალაკტიონი და სიმბოლოები“ — განაცხადა ნოდარ კაკაბაძემ.